

გურამ ჩიქოვანი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

თინათინი „ვეფხისტყაოსანში“

აბსტრაქტი

სტატიაში თინათინის ეტიმოლოგია დაკავშირებულია აღმოსავლეთში გავრცელებულ ქალის საკუთარ სახელთან (*tina//tinah*). იგი სპარსული წარმომავლობისაა და მისი მნიშვნელობაა „ვარდი“. ეს საკუთარი სახელი ისლამურ აღმოსავლეთში მრავლობითის ფორმითაც გვხვდება (*tin-āt*). *-āt*, არაბულში მდებარეობითი სქესის სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსია. ქართულ თინათინში (*tinatin < tin-āt-in*) ბოლოკიდური *-in* უნდა იყოს არაბული სწორი მრავლობითის სუფიქსი *-xn*. ორმაგი მრავლობითი „თინათინ“-ში მნიშვნელობის ინტენსივს გამოხატავს. ორმაგი მრავლობითის ფორმები ხშირად ფიქსირდება არაბულ დიალექტებში. მათ შორის ცენტრალურაზიურ არაბულში: *faras-in-āt* - „ცხენები“, *nahh-in-āt* - „ჩვენ“.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ცენტრალური აზიის არაბულენოვან ყიმლალებში ჩემი ჩანაწერებიდან:

- *ziki-ōn-āt muy-ōt-um-āt ufrag-at*.

„მათ წყალი (წყლები) გაუთავდათ.“

ამ წინადადებაში პირველი სიტყვა (*ziki-ōn-āt*) ორმაგ მრავლობითშია, ხოლო მეორე სიტყვაში, საერთოდ, სამმაგი მრავლობითია (*muy-ōt-um-āt*).

- *zēn yōm kēyin iṣṣf-ūn-āt*.

„კარგად ცხოვრობდნენ.“

აქ ზმნის მრავლობითის ფორმას დაერთვის სახელის მრავლობითობის მაწარმოებელი *āt* სუფიქსი (*iṣṣf-ūn-āt*). აღსანიშნავია, რომ არაბულში ამ საკუთარი სახელის ორივე ფორმა (*tina//tīnāt*), ანუ მხოლობითიც და მრავლობითიც, იხმარება პარალელურად და ორივე დაფიქსირებულია არაბული საკუთარი სახელების ლექსიკონში.

სპარსული წარმომავლობის *tīna* (تینا) - „ვარდი“ ფიქსირდება ავესტაში, *zend/pazend*-ის ლიტერატურაში. სპარსული *tīna* (تینا) დაფიქსირებულია საკუთარი სახელების ელექტრონულ ლექსიკონში, როგორც ქალის საკუთარი სახელი, მნიშვნელობით „ვარდი“.

კლასიკური სპარსულის „გულ“ („ვარდი“ - گل), გვიანდელ საშუალო სპარსულში წარმოდგენილია *gwl*-ს სახით. ეს *gwl* თავის მხრივ, სათავეს უნდა იღებდეს ძველი სპარსულის აღდგენილი ფორმიდან **vrda* (ვრდა). პროტო ირანულშიც საწყის ფორმად ამ სიტყვისა, **vrda* ივარაუდება. სხვა მოსაზრებით *gl* (*gil*) საშუალო სპარსულის *tīna*-დან შეიძლება მომდინარეობდეს.

აღნიშნულ ვერსიებს საფუძვლად უდევს ვ (*v*)-სა და გ-ს (*g*) მონაცვლეობა, რომელიც დასაშვებია ფონეტიკურად. *gul*-ის *vard*-იდან წარმომავლობა აღნიშნული აქვს აკად. გიორგი წერეთელს ნაშრომში „საქართველოს ირანულ სახელწოდებათა

ისტორიისათვის“. აღნიშნულ სტატიაში მეცნიერი „გურჯის“ ეტიმოლოგიას აკავშირებს სპარსულ *varčān*-თან, სადაც ამჟამად, რომ $v > g$: *vrčān > gurčān > gurğān > gurğ*.

ივერიისა და გურგანის აღსანიშნად ერთი და იგივე ფორმის არსებობა მიუთითებს საერთო ტოტემურ სახელზე. „გულ“-თან (گ) დაკავშირებითაც მონაცვლეობა $v \sim g$ სავსებით ბუნებრივად იკვეთება. ავტორიტეტულ სპარსულ ლექსიკონში (Borhane 1342 ჰ.: 547) *tīna* (تینا) განმარტებულია, როგორც „ვარდი“ (گ), რაც ადასტურებს „თინა“-სთან დაკავშირებით, ჩემ მიერ წარმოდგენილი ეტიმოლოგიური კვლევის მართებულობას.

ამგვარად შეიძლება დავასკვნათ, რომ „თინათინის“ ეტიმოლოგია არაბულ-სპარსული *tīn-āt-in*-იდან იღებს სათავეს, სადაც *tīn/tīnā* სპარსული წარმომავლობის „ვარდია“ (*gul* - گ), ხოლო *āt* და *in* არაბული, მრავლობითის მაწარმოებელი ორი სუფიქსი ინტენსივის გამოხატვის ფუნქციით. წინამდებარე სტატიაში ამ საკუთარი სახელის წარმომავლობა ახლებურად არის გააზრებული. იგი წარმოადგენს საქართველოში ფართოდ გავრცელებული ქალის საკუთარი სახელის ეტიმოლოგიის სპარსულ-არაბულ ვერსიას, რაც კულტურათა დიალოგის გამომხატველია.

საკვანძო სიტყვები: *ვეფხისტყაოსანი, თინათინი, ეტიმოლოგია, ვარდი, სპარსულ-არაბული წარმომავლობა.*

თინათინი „ვეფხისტყაოსანში“ განსაკუთრებული თვისებებით შემკული გმირია. იგი უმშვენიერესი და სრულქმნილია, სილამაზით, გონიერებით, სატრფოსადმი ერთგულებით, ხასიათის სიმტკიცით, სიკეთით არის გამორჩეული, მზის სადარია და მის მსგავსად სინათლეს აშუქებს. მრავალი მაგალითიდან მოვიყვანო ზოგიერთს: „თინათინ მზესა სწუნობდა და მზე კი თინათინებდა (52, 4)¹; „ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა“ (67, 2); „მზესა ეტყვის: „მზეო, გიტყვი თინათინის ღაწვთა დარად“ (964, 1); „მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო, თინათინის ხელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ვჰგმირო“.

თინათინის ეტიმოლოგია, გავრცელებული თვალსაზრისით, ნათებას, სინათლეს, ათინათს (მზის სხივს) უკავშირდება. ვეფხისტყაოსნის თინათინი მნათობის (მზის) სადარია: „სოფლისა მნათი, მნათობი, მზისაცა დასთა დასული“ (34, 2). იუსტინე აბულაძე თავის „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში ჩამოთვლის როსტევანის ასულის ეპითეტებს. მაგალითებში ხაზგასმულია, რომ მზის სწორი, თინათინი, მნათობთა დასის წევრია (აბულაძე 1967: 353).

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ გამოცემაში „თინათინი“ მზის შუქთან არის დაკავშირებული: „თინათინი - სარკეს თუ წყალს მზე რომ დაადგეს, ის შუქს არ გაუშვებს, ის არი („თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა“) - რუსთველი მოთა 1975, ვეფხის ტყაოსანი 375.

¹ პოემის ტექსტის ციტირებებს ვახდენ გამოცემიდან: მოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი 2011, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ლიტერატურული გარჩევა დაურთო ნ. ნათაძემ. რელაქტორი ალ. ჭინჭარაული.

თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტების თანახმად თინათინი მზის სადარია: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა - თინათინ მზისა ნათელსა, სარკისა მიერ ანუ ესე ვითართა განწმედულთა ნივთთა გარდამოცემულსა კედელსა ზედან ანუ, რასაცა ზედან მას ეწოდება და უკეთუ შუქი იგი უელვარო მზისა სარკისა მიერ გარდამოცემული თვალთა კაცისათა თვალს ძნელად გაუმართავს მას კაცი და მი[11v]თომ თინათინის მშვენიერებაც ისეთი იყო, რომ კაცის თვალი ძნელად გაუმართავდა მას თვალსა. მზესა სწუნობდა - მე ესე ვგონებ, ყოველნი მშვენიერნი ქალნი პირს არიდებენ მზესა, რომ პირის სახედ მზე არ მოეკიდოს და პირის კანი არ ასწვას. ამისთვის თინათინ მზის დამაწუნებელად უთქვამს მელექსესა. მზე თინათინობდა - მაგრამ მზე თინათინობდა - ამას ნიშნავს, რომელ მრავალნი ტრფიალნი და მიჯნურნი მშვენიერთა კეკლუცთანი სიშორისა ჟამსა საყვარელისა თვისისასა შეხედვენ რა მზესა, იტყვიან „აი ჩვენი საყვარელიო“. ამა მიზეზისა გამო თქმულ არს, რომელ მზე თინათინობდა. კვალად ესრეთცა განიმარტების, რომელ თინათინ ოდეს აღიყვანა მამამან თვისმან ტახტსა სამეფოსა, მაშინ ყოვლითა სიუხვითა თინათინ მოჰფენდა კეთილ ნაწლეობითა თვისითა ერთა თვისთა ზედა ურიცხვსა წყალობასა, ვითარცა მზე აღსრული ხარისხსა ზედა თვისსა მოჰფენს ნათელსა კეთილის მოქმედებისასა ქვეყანასა სასარგებლოდ და აღსაორძინებელად ყოველთა კეთილ-ნაყოფიერებათა. ამისთვის რუსთაველი თინათინის კეთილ-მოქმედებასა და მზისასა შეასწორებს და ჰყოფს მათ მბაძველად ურთიერთისა“ (ბაგრატიონი 1960: 18).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ფიქსირდება „ათინათი“. იგი განმარტებულია, როგორც „სინათლის სხივი“: „ათინათი (ათინათისა) წიგნ. ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოტანებული სინათლის სხივი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1950). სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში თინათინი იგივეა, რაც მზის შუქის ანარეკლი: თინათინი სარკითა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი(ს) კედელზე(დ) ციალებდეს (ორბელიანი 1991: 306).

თინათინის სახე „ვეფხისტყაოსანში“ არაერთხელ გამხდარა მელექსეთა შთაგონების წყარო. სარგის კაკაბაძეს მისი რედაქტორობით გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნის“ დართულ გამოკვლევაში მოჰყავს ჩახრუხადის შესხმა, სადაც თინათინი თამარ მეფესთან არის გაიგივებული და მოხსენიებულია „სამოთხის ვარდად“:

„მოხვევს ძეთა ჩახრუხადეთა
ეჟო თამარი მეფე წყლიანი,
მისი სიმეტე, ბრძენთა სიმეტე
თინათინ ვაჟო ბაღი წყლიანი.
ა, ეს თინათინ, ნუ ის თინათინ,
არაბეთს იყო სულადიანი,
ჯერეთ ყმაწვილი, წმიდათ ნაწილი
სამოთხის ვარდი პირად მზიანი.“

სარგის კაკაბაძე ხაზს უსვამს, რომ მოყვანილ სტრიქონებში ნახსენები თინათინი „რეალური თამარ მეფეა“ (რუსთაველი 1926: LXXV).

ნიკო მარს დიდი დამსახურება მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ გმირ ქალთა სახელების ეტიმოლოგიურ ძიებებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მხრივ მეცნიერის მოსაზრება ნესტან-დარეჯანთან დაკავშირებით. რაც შეეხება

თინათინს, ნ. მარი მიიჩნევს, რომ როსტევეანის ასულის სახელი არა ტრადიციული, ქრისტიანული, არამედ ხალხური წიაღიდან მომდინარეობს და მისი მნიშვნელობა არის „შუქის ანარეკლი“: „Из женских именъ одно персидское – Nest – andare – ja < hān. Это собственно не имя, а эпитетъ, означающій “нѣтъ въ мирѣ” подразумевається “подобной красавицы”, т.е. “безподобная красавица”¹, другое – грузинское, при этомъ не христiанское календарное, а народное – Tinatin, т.е. “Отражение свѣта” (Марр 1917: 428).

ქართულ ლიტერატურაში გამოჩენილ ქალთა სახელები ხშირად არის გასხვივსნებული მზის სინათლით, სიკაშკაშით, ნათებით. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს „თამარიანიდან“: „მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი...“ (Марр 1902: პე, 2); „ვარდ-შამბნარი, შამბ-მადნარი, ღაწვ მწყაზარი შუქ-მფინარი“ (Марр 1902: პე, 4); „სახედ გასახობდეს, რა მზე ნათობდეს, მაშინცა ეთქმის დაბნელებულად...“ (Марр 1902: რკვ, 4); „შენი სიშუქე, რომელ-თა უქე? ვითამც ვინ იქმნეს მიბაძვებულად?“ (Марр 1902: რკვ, 7); „თამარ შენ გიძნობ! ასულად გიცნობ: მზე დაუვალი, შუქ მომფინარი“ (Марр 1902: პგ, 4).

„ვეფხისტყაოსანში“ გმირ ქალთა სიტურფე, სილამაზე და სრულყოფილება ხშირად არის ვარდთან გაიგივებული. თინათინი, როდესაც სამ წელიწადს აძლევს სატრფოს ვეფხისტყაოსანი რაინდის მოსაძებნად, ეუბნება ავთანდილს:

„ვერა ჰჰოვო დავიჯერებ, იყო თუ-რე უჩინარი;
კოკობი და უფურჭვნელი, ვარდი დავგვხვდე დაუმქნარი“ (136, 3-4).

ავთანდილისათვის თინათინი სიტურფით გამორჩეული ვარდია. მისი ნახვა, მასთან შეხვედრა საამოა გამიჯნურებული სპასპეტისთვის:

„უხარის ნახვა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა.
ამოა ჭვრეტა ტურფისა, სიახლე საყვარელისა“ (125, 3-4).

არაბეთში ჩასულ პოემის გმირებს როსტევეან მეფე შეეგებება. იგი, ამჯერად, ტარიელს გაანდობს თავის გადაწყვეტილებას:

„თვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას ეფერა;
ვარდი ახლად იფურჭვნების, მე ყვავილი დამებერა“ (1534, 2-3).

კიდევ არაერთი სტროფია „ვეფხისტყაოსანში“, სადაც რუსთაველი თინათინს იშვიათი სალამაზის ყვავილად, აყვავებულ ვარდად მოიხსენიებს. იგივე შეიძლება ითქვას ნესტან-დარეჯანზეც:

„სიხარულმან ამაჩქარა, ამათრთოლა, და-ცა-მღეწა,
იგი ვარდი შემეყვარდა, რომე თოვლსა არ ეხეწა“ (633, 1-2).

ქაჯეთის ტყვეობიდან დახსნილი ტარიელის სატრფო ფატმანს ეუბნება:

„აწ აგრე ვარ გავსებული, წინას ვიყავ ვითა მცხრალი,
მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვჩან არ დამზრალი“ (1444,3-4).

თინათინის ეტიმოლოგიასთან მიმართებით, საინტერესოდ მიმაჩნია მისი დაკავშირება აღმოსავლეთში გავრცელებულ ქალის საკუთარ სახელთან „თინა“ (*tina//tinah*). ეს საკუთარი სახელი ისლამურ აღმოსავლეთში მრავლობითის ფორმითაც გვხვდება (*tin-āt*). *āt*, როგორც ცნობილია, არაბულში (სემიტურში) სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსია. ქართულ „თინ-ათ-ინ“-

ში ბოლოკიდური -ინ (*īn*) უნდა იყოს არაბული (სემიტური) სწორი მრავლობითის სუფიქსი - *īn*. ორმაგი მრავლობითი „თინათინ“-ში მნიშვნელობის ინტენსივს უნდა გამოხატავდეს. ორმაგი მრავლობითის ფორმები ხშირად ფიქსირდება არაბულ დიალექტებში. მათ შორის ცენტრალურაზიურ არაბულში: *faras-īn-āt* - „ცხენები“, *nahīn-āt* - „ჩვენ“.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ჩემი ჩანაწერებიდან:

- *zīkl-ōn-āt muy-ōt-um-āt ufrag-āt*.

„მათ წყალი (წყლები) გაუთავდათ.“ (ჩიქოვანი 2007: 226).

ამ წინადადებაში პირველი სიტყვა (*zīkl-ōn-āt*) ორმაგ მრავლობითშია, ხოლო მეორე სიტყვაში, საერთოდ, სამმაგი მრავლობითია (*muy-ōt-um-āt*)².

- *zēn yōm kēyin išūf-ūn-āt*.

„კარგად ცხოვრობდნენ.“ (ჩიქოვანი 2007: 210).

აქ ზმნის მრავლობითის ფორმას დაერთვის სახელის მრავლობითობის მაწარმოებელი *āt* სუფიქსი (*išūf-ūn-āt*). აღსანიშნავია, რომ არაბულში ამ საკუთარი სახელის ორივე ფორმა (*tīna//tīnāt*), ანუ მხოლობითიც და მრავლობითიც, იხმარება პარალელურად და ორივე დაფიქსირებულია არაბული საკუთარი სახელების ლექსიკონში (quranicnames.com/tina/).

საინტერესოდ მეჩვენება სპარსული წარმომავლობის *tīna* (تینا). მისი მნიშვნელობაა - „ვარდი“. ფიქსირდება ავესტაში, *zend/pazend*-ის ლიტერატურაში³. სპარსული *tīna* (تینا) დაფიქსირებულია საკუთარი სახელების ზემოხსენებულ ელექტრონულ ლექსიკონში, როგორც ქალის საკუთარი სახელი, მნიშვნელობით „ვარდი“.

მზია ანდრონიკაშვილი ქართულ „ვარდს“ აკავშირებს ირანული წარმომავლობის „ორდ“-თან. მას მოჰყავს სულხან საბას ლექსიკონიდან ფორმები „ორდილი“ - აღორძინება და „ორდის“ - აღორძინდების. მეცნიერი აზუსტებს, რომ ფუძე „ორდ“-ის მნიშვნელობაა „ერთი მხრივ, ‘გაზრდა, გამრავლება, გავრცობა’ და, მეორე მხრივ, ‘აღმოცენება, გაზრდა’ (მცენარისა)“ (ანდრონიკაშვილი 1966: 104). მ. ანდრონიკაშვილს მიაჩნია, რომ „მცენარის სახელი ვ ა რ დ ი, სამ. სპ. *vālā* ‘ყვავილი’, სომხ. ნასესხები *vard*, ქართ. ვ ა რ დ ი, ახ. სპ. *gul*, შესაძლებელია შემოსული იყოს ჩრდილო ირანულიდან - *varz* – ფორმით *varz* > *orʒ* > *ord*“ (ანდრონიკაშვილი 1966: 104). იგი ასახელებს ანალოგიურ ძირებს სხვადასხვა ენებში: „მდრ. ავ. *varaḥa* ‘მცენარე’ ძირიდან *varaḥ* ‘ზრდა’ (მდრ. რუს. *pacmehue*), სკრ. *vardh* – ‘ზრდა’, ძვ. სპ. **Varda* -, ფალ. *vard*. მდრ. საკუთარი სახელი *Vardake* და *Varta* სირიულიდან უკან ნასესხები ფალაურში, ახ. სპ. گ ‘ვარდი’, ‘ყვავილი’ (აქ მ. ანდრონიკაშვილი

² კამკადარიულ დიალექტში, სახელებში და ზმნებში, ფიქსირდება *mim*-ით მრავლობითის წარმოების შემთხვევები.

³ ზენდის ენა ავესტის ენაა. იგი ძველ აღმოსავლურ ირანულს წარმოადგენს. მასზე ჩაწერილია ზოროასტრიზმის წმინდა წიგნები. ავესტაში გამოიყოფა ორი ენობრივი პლასტი. პირველია ძველი ავესტა (1200-800 წწ. ჩვ.წ.-მდე). იგი ახლოა სანსკრიტთან, ველების ენასთან. მეორე პლასტი შემდგომი პერიოდის ავესტის ენაა (VI ს. ჩვ.წ.-მდე). ავესტა ჩაწერილია ფალაური შრიფტით, რომელიც თავის მხრივ, სათავეს იღებს ძველი არამეულიდან (იხ. www.iranicaonline.org; Peterson, J. 1995).

უთითებს P. Horn-ს: GrnpEt, 927 - გ. ჩიქოვანი), არაბ. *اَر* 'ვარდი', სირ. *ܐܪܐ* 'ვარდი', თალმუდ *אָר*, მანდ. *ܐܪܐ*, სომხ. 'ვარდი' (ანდრონიკაშვილი, 1966: 236).

ჩემი აზრით თინათინის ეტიმოლოგია კავშირშია ვარდთან (*tīna//tīnāt*), რომელსაც დაერთვის არაბული მრავლობითობის მაწარმოებელი ორი სუფიქსი (-*āt*, -*in*). შედეგად ვღებულობთ „თინათინს“ (*tīn-āt-in*).

კლასიკური სპარსულის „გულ“ („ვარდი“ - گُل), გვიანდელ საშუალო სპარსულში წარმოდგენილია *gwl*-ს სახით. ეს *gwl* თავის მხრივ, სათავეს უნდა იღებდეს ძველი სპარსულის აღდგენილი ფორმიდან **vrda* (ვარდა). პროტო ირანულშიც საწყის ფორმად ამ სიტყვისა, **vrda* ივარაუდება. შეიძლება *gl* (*gil*) საშუალო სპარსულის *tīna*-დანაც მომდინარეობდეს.

აღნიშნულ ვერსიებს საფუძვლად უდევს *z* (*v*)-სა და *g*-ს (*g*) მონაცვლეობა, რომელიც დასაშვებია ფონეტიკურად. *gul*-ის *vard*-იდან წარმომავლობა აღნიშნული აქვს აკად. გიორგი წერეთელს ნაშრომში „საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის“. აღნიშნულ სტატიამი მეცნიერი „გურჯის“ ეტიმოლოგიას აკავშირებს სპარსულ *varčān*-თან, სადაც ამჟამად, რომ *v > g*: *vrčān > gurčān > gurğān > gurğ* (წერეთელი 1993: 104-105).

ივერიისა და გურგანის აღსანიშნად ერთი და იგივე ფორმის არსებობა მიუთითებს საერთო ტოტემურ სახელზე. „გულ“-თან (گُل) დაკავშირებითაც მონაცვლეობა *v ~ g* სავსებით ბუნებრივად იკვეთება. ავტორიტეტულ სპარსულ ლექსიკონში (Borhane 1342 ჰ.: 547), *tīna* (تینا) განმარტებულია, როგორც „ვარდი“ (گُل), რაც ადასტურებს „თინა“-სთან დაკავშირებით, ჩემს მიერ წარმოდგენილი ეტიმოლოგიური კვლევის მართებულობას.

ამგვარად შეიძლება დავასკვნათ, რომ „თინათინის“ ეტიმოლოგია არაბულ-სპარსული *tīn-āt-in*-იდან იღებს სათავეს, სადაც *tīn/tīnā* სპარსული წარმომავლობის „ვარდია“ (*gul* - گُل), ხოლო *āt* და *in* არაბული, მრავლობითის მაწარმოებელი ორი სუფიქსი ინტენსივის გამოხატვის ფუნქციით. წინამდებარე სტატიამი ამ საკუთარი სახელის წარმომავლობა ახლებურად არის გააზრებული⁴. იგი წარმოადგენს საქართველოში ფართოდ გავრცელებული ქალის საკუთარი სახელის ეტიმოლოგიის სპარსულ-არაბულ ვერსიას, რაც კულტურათა დიალოგის გამომხატველია.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე, იუსტინე. *რუსთველოლოგიური ნაშრომები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1967.

⁴ ევროპაში გავრცელებული ქალის საკუთარი სახელი Tina მომდინარეობს ძველი ინგლისური სახელიდან Tyne//Tina. მისი მნიშვნელობაა „მდინარე“. მას კავშირი არა აქვს ჩვენს მიერ აქ განხილულ ქართულ თინათინთან. Tina ხშირად არის წარმოდგენილი ქალის საკუთარ სახელებში მეორე წევრად, გამოხატავს კნინობითობას. მაგალითად, Valen-tina, Kris-tina, Bet-tina, Alber-tina, Mar-tina და ა.შ. Tina-ს შესაბამისი მამრობითი სახელია Tino. არსებობს, აგრეთვე პარალელური მამრობით-მდედრობითი ფორმები: Avgus-tin – Avgus-tina, Aven-tin – Aven-tina.

- ანდრონიკაშვილი, მ. *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1966.
- ბაგრატიონი, თეიმურაზ. *განმარტება ჰომა ვეფხისტყაოსნისა*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.
- ორბელიანი, სულხან-საბა. *ლექსიკონი ქართული*, I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი: მერანი, 1991.
- რუსთაველი, შოთა. *ვეფხისტყაოსანი სარგის კაკაბაძის რედაქტორობით. გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი*. ტფილისი, 1926.
- რუსთაველი, შოთა. *ვეფხისტყაოსანი*. პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა. 1712 წ. აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წ. ფოტორეპროდუქციული გამოცემა 1975 წ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პროფ. არნ. ჩიქოვას საერთო რედაქციით*. ტ. 1. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950.
- ჩიქოვანი, გ. *ცენტრალური აზიის არაბული დიალექტები. კამკადარიული დიალექტი. ტექსტი, თარგმანი, განმარტებები*. თბილისი: გამომცემლობა „ხირონი“, 2007.
- წერეთელი, გ. „*საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*: 92-106, 1993.
- Borhan-e Gbate*, edited by Dr. Mohammed Mo'in. Tehran: Amir Kabir (publisher), 1342.
- (برهان قاطع تأليف محمد حسين بن خلف تبریزی مختلص ببرهان مؤلف ۱۰۴۲ هجری قمری باستتمام دكتور محمد معین، جلد اول، مؤسسة انتشارات امیر کبیر، تهران، ۱۳۴۲.)
- Peterson, Joseph H. *Dictionary of Most Common AVESTA Words*. Copyright 1995.
- Марр, Н. Я. *Древнегрузинские одописцы*. Пет, 1902.
- Марр, Н. Я. *Грузинская поэма "Витязь в барсовой шкурѣ" Шоты из Рустава*. Петроградъ: Извѣстія Академіи Наукъ, 1917.
- <https://quranicnames.com/tina/>
- www.iranicaonline.org